

კოტე კუხალეიშვილი

მამაჩემი კოტე (კონსტანტინე) კუხალეიშვილი, როგორც ის თავის ავტობიოგრაფიაში წერს დაბადებულია 1905წ. ქ. ხონში. 1905 წლიდან 1925 წლამდე ცხოვრობდა და სწავლობდა ქ. ხონში ჯერ დაწყებით სასწავლებელში (1915 – 1922წწ.), შემდეგ ქ. ხონის (მაშინ უკვე ქ. წულუკიძის) ათწლედში, რომლის დამთავრების შემდეგ (1925წ.) მას სწავლა გაუგრძელებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიურ ფაკულტეტზე, რომელიც დაუმთავრებია 1930წ. სწავლის პერიოდში (1928 – 1929წწ.) იგი თან მუშაობდა სოფ. წილკნის ქოხსამკითხველოს გამგედ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კი 1930წ. – დან 1931წ.- მდე მსახურობდა თბილისის მუშაკოოპის სამმართველოში ინსტრუქტორის თანამდებობაზე. 1931 წლიდან ამ სამმართველოს გაუქმების გამო, მას სამსახური დაუწყია თბილისის ს. ორჯონიკიძის სახ. № 1 სამკერვალო ფაბრიკაში შრომის ორგანიზაციისა და ხელფასის სექტორის გამგედ, სადაც მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე. კოტე კუხალეიშვილი 1923 წლიდან იყო ალკა წევრი, 1932 წლიდან საკ.კ.პ. (ბ) წევრი. სხვადასხვა დროს არჩეული იყო ალკა ორგანიზაციის კომიტეტის წევრად, მდივნად, მდივნის მოადგილედ, მდივნის პირველ მოადგილედ, პირველ მდივნად; მიღებული აქვს მადლობები, სიგელები, ფულადი ჯილდოები და ნივთები.

მამა ომის გამოცხადებისთანავე, საკუთარი სურვილით, წასულა ფრონტზე. დედაჩემის თქმით, მამას ფრონტზე წასვლიდან მხოლოდ 4 თვის შემდეგ მოსულა უწყება სამხედრო კომისარიატიდან. დედა იხსენებდა – ომის დაწყება რომ გამოაცხადეს რადიოთი, ნახევარი საათიც არ იქნებოდა გასული, რომ მოვარდა მამათქვენი და ეცა კარადის იმ უჯრას, რომელშიც, მისი სამხედრო წიგნაკი

ინახებოდაო (ომამდე მამა მე-3 რანგის ინტენდატი იყო).
“შეჭამე რამე, შე კაცო და ისე წადიო” უთქვამს დედას. “რადროს ჭამა არის, ქალო, სამშობლო საფრთხეშიაო”
უპასუხია მამას და გაქცეულა. დედა ამბობდა ერთი კი მივაძახე “ რომელი სამშობლო, რომელი სამშობლო.” ამის შემდეგ მამა შინ არც კი მობრუნებულა, პირდაპირ ფრონტზე უკრეს, თურმე, თავი.
ისევ დედასგან ვიცი, რომ მამას აწუხებდა კუჭი, მაგრამ კუჭის რა დაავადება ჰქონდა აღარ მახსოვს, იქნებ გასტრიტი. ამის გამო მას თავისუფლად შეეძლო არ წასულიყო ფრონტზე (ზურგშიც ხომ საჭირონი იყვნენ მამაკაცები), ან წასულიყო შედარებით მოგვიანებით მაშინ, როცა სამხედრო კომისარიატიდან უწყება მიიღო, იქნებ გადარჩებოდა ქერჩის ბრძოლებს, სადაც ის სხვებთან ერთად გერმანელებს ტყვედ ჩაუვარდა.
1965 წლის 19 მაისს გაზეთ “თბილისში” გამოქვეყნდა ჟურნალისტ ვახტანგ სიხარულიძის სტატია “ეკლიან მავთულხლართებში” (ქვესათაურით – ომის ნაკვალევი), რომელშიც იგი მოიხსენიებდა მამას, კაპიტან კოტე კუხალეიშვილს. ამ სტატიიდან ვგებულობთ, რომ აზოვისა და შავი ზღვების სანაპიროებიდან ტყვედ ჩავარდნილი საბჭოთა მეომრები გერმანელებს მიუყვანიათ რუმინეთის პატარა დასახლებულ პუნქტში ინტეპენდენცაში, სამხედრო ტყვეთა ბანაკში. მათ შორის ყოფილა მამაც და ამ სტატიის ავტორიც - ბატონი ვახტანგ სიხარულიძე. ტყვეთა ნაწილს ბანაკში ანტიფაშისტური საქმიანობა გაუჩაღებია. აი რას წერს ბატონი ვახტანგი “საშინელი პირობების მიუხედავად ადამიანებმა მხნეობა არ დაკარგეს. მალე დაიწყო პატრიოტული ჯგუფების შექმნა, რომლებიც შემდგომში საბჭოთა სამხედრო ტყვეთა არალეგალურ კომუნისტურ და ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ორგანიზაციებში გაერთიანდნენ.”

ამ პერიოდში მივიღეთ ჩვენ მამას უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა აი ეს ცნობაც “ В бою за Социалистическую родину, верный военной присяге, проявив героизм и мужество, пропал без вести в 1942 г.” (Известие № 646). სამწუხაროდ მაყვალა ნატმელაძის წიგნში, რომელშიც სამამულო ომში დაღუპულ ქართველ მეზობლთა სიაა მოცემული, მამა მოიხსენება 1942წ.

დაღუპულთა შორის. არა და მამამ 1942 წლის შემდეგ 1945 წლის მარტამდე უმძიმესი საბრძოლო გზა გაიარა. ჩვენ მამას წერილებს 1942 წლის შემდეგაც ვღებულებდით. ისინი მე შენახული მაქვს).

მიყვებოდა ბატონ ვახტანგ სიხარულიძის სტატია

“ ...1944წლის 28 აგვისტოს ტყვეებმა მიმალული სასანგრო იარაღებით მავთულხლართების ღობეები დაანგრიეს და გაიქცნენ. გერმანელთა არტილერიამ მათ ცეცხლი დაუშინა ... ყოფილი ტყვეები მტერთან შეტაკებაში მოპოვებული იარაღით იკაფავდნენ გზას და ისწრაფოდნენ საბჭოთა არმიის ნაწილებთან შესაერთებლად. ისინი კი მათგან თითქმის რვაასი კილომეტრით იყვნენ დაცილებულნი. მხოლოდ 10 დღის შემდეგ შეუერთდნენ ლტოლვილნი უკრაინის მეორე ფრონტის ჯარების მოწინავე ნაწილებს.” მე რომ ეს სტატია წავიკითხე, მივაკითხე ბატონ ვახტანგს რედაქციაში. მან მთხოვა მიმეტანა მისთვის მამაჩემის სურათი, ოღონდ ისეთი, რომელზედაც მამა მარტო არ იქნებოდა გამოსახული, რათა დავრწმუნებულიყავით სტატიაში ნახსენები კოტე კუხალეიშვილი ნამდვილად მამაჩემი იყო თუ არა. ასეც მოვიქეცი. სურათზე, რომელიც მას მივუტანე 4 პიროვნება იყო გადაღებული. ბატონმა ვახტანგმა მამა ამოიცნო. შემდეგ მითხრა მამშენს თავისი ორი პატარა ქლიშვილის სურათი ჰქონდაო თან. მან მიაგზო – კოტეს რაღაც დაავადება ჰქონდა, რაღაც აწუხებდაო, ძალიან გამხდარი და დაუძლურებული იყო; თოფის ხელში დაჭერაც კი უჭირდა, ისე იყო დასუსტებულიო. ბიჭებმა მოვკიდეთ ხელი და მივიყვანეთ “მედსანბატშიო.” ექიმებს

ვუთხარით – ამ კაცს აქ რა უნდაო – ექიმებმა მამაშენს შეხედეს. არც კი გასინჯეს ისე გაწერეს ზურგშიო. მამაშენმა თავი მოიკლა “როგორ, მე ზურგში მხართქობზე წამოვწვე, თქვენ კი აქ სისხლი ღვართო”. მეორე დღეს დაწყებულა გააფთრებული ბრძოლები ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის. ვიბრძოდით თითოეული სახლის ყოველი სართულისათვისო და ამ ბრძოლებში დაიღუპაო მამაშენი - მითხრა ბატონმა ვახტანგმა. ბატონმა ვახტანგმა ჩვენი ეს საუბარი, სათაურით “სამშობლოს მედგარ დამცველთა რიგებში” გამოაქვეყნა წიგნში “ომის გზებზე” (“საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1968, გვ.402 – 407). ჩვენ კი მივიღეთ ცნობა (7.04.05, №588) მამის დაღუპვის შესახებ, სადაც წერია, რომ ის გმირულად დაეცა უნგრეთში, ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში 1945 წლის 11 თებერვალს და დაკრძალულია ბუდაპეშტში ძველი ციხის რაიონში “ციტადეკში”.

ამის შემდეგ ბატონმა ვახტანგ სიხარულითემ 1976 წლის 13 თებერვალს გაზეთ “სოფლის ცხოვრებაში” გამოაქვეყნა წერილი სათაურით “გმირული დღეების გახსენება”, სადაც ის კვლავ ახსენებს კოტე კუხალეიშვილს. ციტატა ამ სტატიიდან . “...ვერაგ მტერთან ბრძოლებში ბუდაპეშტის ქუჩებში გმირთა სიკვდილით დაეცნენ ოფიცრები კოტე კუხალეიშვილი, . . .”

მამა მოიგონა პედაგოგმა ივანე ჩხაიძემაც ლანჩხუთის რაიონულ გაზეთში “კომუნისტური შრომა” (1968წ. 24 თებერვალი, №24), რომელშიც გამოქვეყნდა მისი წერილი “ოცდამეოთხე შეტევაზე”. ამ წერილში ბატონ ივანე ჩხაიძეს აღწერილი აქვს გაყინულ მდ. დონზე საბჭოთა მეომრების გადასვლა. მოვიყვან ამონარიდს ამ წერილიდან “ ბატალიონის მეთაური კუხალეიშვილი პირველი გავიდა დონზე. მყუდრო ადგილი შეარჩია. თავდასხმის გზები დაათვალიერა. დონზე გასულ თითოეულ მეომარს გულში იხუტებს, მამაშვილურად აფრთხილებს, ადგილს უჩვენებს . .

გარიჟრაჟზე ბატალიონი შეტევაზე გადავიდა. შეტევას
კაპიტანი კუხალეიშვილი ხელმძღვანელობდა. ეს მოხდა 1942
წლის 23 თებერვალს.”

ამ სტატიის ავტორს, ივანე ჩხაიძეს, ბიძაჩემმა, გოგიმ,
წერილი გაუგზავნა, რომ გაგვეგო ეს კუხალეიშვილი
მამაჩემი იყო თუ არა. ბატონმა ივანემ ბიძაჩემს უპასუხა
(ეს წერილი შენახული მაქვს), რომ ამ კუხალეიშვილს ერქვა
კოტე. დაწვრილებით აღწერს მის გარეგნობას. იმასაც კი
როგორ უღვაშებს ატარებდა (წერილში დახატა კიდეც
უღვაშების ეს ფორმა). განსაკუთრებით ხაზს უსვავს მის
იმერულ კილოს. იგი წერს, რომ მამა გაიცნო ფრონტზე
დონის როსტოვში. მას (მამაჩემს) ჰქონდა კაპიტნის ხარისხი
და იყო ბატალიონის მეთაური. ხელმძღვანელობდა დონზე
გადასვლას და შეტევას გერმანელებზე როსტოვის მიწაზე
ქალაქის ტერიტორიაზე 1942 წლის 22 – 23 თებერვალს.
პირველ წარმატებასაც საბჭოთა არმიის დაბადების 24
წლისთავზე კოტე კუხალეიშვილის მეთაურობით მივალწიეთ.
რამდენიმე დღე ვღევდით მტერს როსტოვის ტერიტორიაზე.
ერთ-ერთი მძლავრი შეტევის დროს მე დავიჭერი ჩვენი
ბატალიონის დიდი ნაწილი განადგურდა. კოტე და ჩემი
მცირე რაიდენობით გადარჩენილი ამხანაგები, როსტოვის
ტერიტორიაზე დავტოვე. ელოდებოდნენ ახალ შევსებას. მე
ესენტუკში მოვხვდი, ჰოსპიტალში და ამის შემდეგ მათი
აღარაფერი გამიგია. წერს ბატონი ივანე ბიძაჩემს და
ეპატიუება ლანჩხუთში თავის სოფელში. აი, მოკლედ
ასეთია მამაჩემის საბრძოლო გზა.

მამას სამსახური, №1 სამკერვალო ფაბრიკა, არც თუ
იშვიათად მართავდა სხვადასხვა საღამოებს. ჩვენ
გვიგზავნიდნენ მოსაწვევებს. მე და ნანა (ჩემი უფროსი და)
მივდიოდით ხოლმე. დედა არ მოდიოდა. ამ საღამოებზე
იგონებდნენ მამაჩემს, მე და ნანას მამას თანამშრომლები
გვეუფერებოდნენ, გვამხნევენდნენ.

ჩვენთან შინ განსაკუთრებით ხშირად მოდიოდა მამას თანამშრომელი და ამხანაგი კოლია გვეტაძე. ის ძალიან განიცდიდა მამაჩემის დაღუპვას დედას ეტყოდა ხოლმე “ რა ქნა, კაცო, ამ კაცმა (ე.ი. მამაჩემმა), როგორ ანთებული კელაპტარივით შეეწირათ ამათო (იგულისხმებოდა კომუნისტები).

მამა ფრონტიდან გამოგზავნილ ერთ წერილში დედას წერდა –მე თუ არ დავბრუნდი პარტიასა და მთავრობას გიტოვებ ჩემს მაგივრად პატრონადო.